ხელშეკრულება №204
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი **06 ნოემბერი 2013 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 თავის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულების თანახმად, „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის №57 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 2013 წლის მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 01 აგვისტოს №108 განკარგულების შესაბამისად, ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ჯეო პარკი“ (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ ალიბეგაშვილის მინდობილი პირის ადამ აბესაძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულების თანახმად, „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის №57 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 2013 წლის მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 01 აგვისტოს №108 განკარგულების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დაბა ოჩხამურში საბავშვო საქანელების მოწოდება-მონტაჟი (CPV 37535000 - კარუსელები, საქანელები, ტირები და სხვა ატრაქციონები) (შემდგომში „საქონელი“), თანახმად ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №2-სა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1`185.00 (ერთიათას ასოთხმოცდახუთი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.
4.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 საქონლის მიღება ჩაბარებას ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ინსპექტირების ჯგუფი.
5.3 მოწოდებული საქონელის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონელის მიწოდების ადგილად განისაზღვრება დაბა ოჩხამური შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილი.
6.2 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონელის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის და ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად საქონელის მიწოდება.
ბ) უზრუნველყოს ქარხნული წესით დამზადებული ახალი საერთაშორისო სტანდარტის EN12201-1, EN12201-2 და EN12201-3 საბავშვო საქანელების მოწოდება-მონტაჟი, თანახმად წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №2-სა.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ფარგლებში საქონლის მოწოდების ინსპექტირებას ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილი ინსპექტირების ჯგუფი.
8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად

მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. გარანტია

13.1 ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, აღნიშნულ საქონელს გააჩნია 2 (ორ) წლიანი გარანტია.
13.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეკეთება ან მისი ახალი საქონლით ჩანაცვლება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
13.3 გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
15.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
15.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

16. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, V მ/რ, კორპ. 1, ბინა 22;
16.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი **TBCBE22**, ა/ა **GE95TB1893836020100010**, საიდენტიფიკაციო კოდი **205261429;**
16.3 „მიმწოდებელი" - შპს „ჯეო პარკი"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი

„მიმწოდებელი" - შპს „ჯეო პარკი"

მინდობილი პირი ადამ აბესაძე

საბავშვო საქანელების მოწოდება - მონტაჟის

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	წარმოშობის ქვეყანა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	საქანელა ორადგილიანი	1	თურქეთი	703,38	703,38
1,1	მონტაჟი	1		38,14	38,14
2	ღერძი (ტურნიკი)	1	თურქეთი	224,58	224,58
2,1	მონტაჟი	1		38,14	38,14
3	ჯამი	ლარი			1004,24
4	დღგ	18%			180,76
5	სულ ჯამი	ლარი			1185,00

შპს „ჯეო პარკი“

მინდობილი პირი ადამ აბესაძე

შ.პ.ს. „ჯეო პარკი“

ქ. თბილისის ვაკის რაიონში/ნუცუბიძის V მკრ. კორპ. 1, ბ. 22
ტელ.: მობ: 568-45-66-11 / 568456633

თარიღი: 5 ოქტომბერი 2013წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ეძლევა ადამ აბესაძეს პირადი №31001012167 მასზედ რომ ორგანიზაციის სახელით ქობულეთის მუნიციპალიტეტთან და შპს "ჯეო პარკი"ს შორის გააფორმოს შესყიდვის ხელშეკრულებები. ასევე ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტებს და ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო დოკუმენტაციას.

შ.პ.ს. „ჯეო პარკი“-ს დირექტორი

ნიკოლოზ ალიბეგაშვილი

ბ. ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქობულეთი 06 ნოემბერი 2013 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის №57 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 2013 წლის მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 01 აგვისტოს №108 განკარგულების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დაბა ოჩხამურში საბავშვო საქანელების მოწოდება-მონტაჟის შესყიდვის განხორციელებაში (CPV 37535000 - კარაუსელები, საქანელები, ტირები და სხვა ატრაქციონები), შპს „ჯეო პარკი“-ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი